ხაშურის მოამბე

№27 (208) 16 ივლისი, სამშაბათი, 2019 წელი

„ივერიის" სტადიონის მშენებლობა გეგმაზომიერად მიმდინარეობს

ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ „ივერიის" განახლებული სტადიონი 2020 წლის ნოემბერში დაიწყებს ფუნქციონირებას. სტადიონი, რომელიც 2500 მაყურებელზეა გათვლილი, ყველა სტანდარტს დააკმაყოფილებს. ამჟამად, ფუნდამენტის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. მშენებლობის შპს „გლობალსტანდარტმშენი" აწარმოებს. მთლიანად მშენებლობისათვის კი 6 მილიონამდე ლარია გამოყოფილი. ჩვენი საფეხბურთო კლუბის -„ივერიის" დღევანდელი სავავლალო მდგომარეობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რა თქმა უნდა, სტადიონის არქონაა. იმედია, ახალი სტადიონის აგების შემდეგ , „ივერიაც" ახალ სიცოცხ-

ელს დაიწყებს და კვლავ გაგრძელდება ის საუკუნოვანი ტრადიცია, რომელიც ჩვენს საფეხბურთო გუნდს აქვს.

მკითხველს შევახსენებთ, რომ "ივერიის" სტადიონი პირველად გასული საუკუნის 50-იან წლებში აშენდა. მის მშენებლობაში, ფაქტობრივად, მთელი რაიონი იყო ჩართული და მოსახლეობის ფართო ფენები მონაწილეობდა. ეწყობოდა შაბათობები და რაიონის თითოეულ კოლმეურნეობას თავისი კონკრეტული წვლილი შეჰქონდა მის მშენებლობაში. ბევრს ახსოვს, ალბათ, ლამაზი გალავნით გარშემორტყმული სტადიონი, რომელმაც 90-იან წლებამდე შეასრულა თავისი მოვალეობა. 1990 წელს კი, მის ადგილას ახალი სტადიონი აიგო, რომელმაც შესანიშნავად გაართვა თავი საკუთარ ფუნქციას. ამ წლებში, "ივერია" უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა და დღეს, ალბათ ბევრს აქვს ნოსტალგია, როდესაც გადავსებული სტადიონი ლეგენდარულ "დინამოს", ქუთაისის "ტორპედოს" თუ სხვა ცნობილ ქართულ კლუბებს მასპინძლობდა.

და აი, ერთი წელიც და "ივერიის" განახლებული სტადიონი, უმასპინძლებს გულშემატკივრებს, რაც გვაძლევს იმედს, რომ ჩვენი "ივერიაც" დაუბრუნდება ამ ადგილს, რომელსაც თავისი წარსულით, ნამდვილად იმსახურებს.

სოფლებში – წელოვერსა და ცხეთიჯვარში სასმელი წყლის პრობლემა გადაჭრილია

წლების მანძილზე, სოფელ წედვერსა და სოფელ ცხეთიჯვარში მოსახლეობას სასმელი წყლის პრობლემა ჰქონდა. ამიერიდან კი ეს პრობლემა მოგვარებულია. წყლის ქსელისა და რეზერვუარის მოწყობა უკვე დასრულდა, რაშიც 16 ათასი ლარი დაიხარჯა. მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად ზრუნავს სასმელი წყლით მოსახლეობის უზრუნველყოფაზე და ამ სოფლების გარდა, პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს, სურამში ბაიანთხევისა და გვერდისუბნის დასახლებების წყლით უზრუნველყოფის სამუშაოები, რომელიც შემოდგომაზე დასრულდება. ასევე, მაღალი ტემპით მიმდინარეობს მდინარე ბიჯნისულას წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია, რომლის დასრულების შემდეგ, 300-მდე ოჯახი იქნება სასმელი წყლით უზრუნველყოფილი.

ვაჟა-ფშაველას ქუჩას ახალი სკვერი დაამშვენებს

ერთი თვეც და ხაშურში, ვაჟა-ფშაველას ქუჩას და მთელს ქალაქს ახალი სკვერი და მინისტადიონი შეემატება. ამისათვის 72 ათასი ლარი იყო გამოყოფილი და მშენებლობას შპს „გლობალსტანდარტმშენი" აწარმოებს. ადგილობრივი ხელისუფლებისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს ქალაქში რეკრეაციული ზონების შექმნა, რაც ქალაქის მოსახლეობის ჯანმრთელობის საწინდარი და აქტიური დასვენების მშვენიერი საშუალებაა. ამ კუთხით, უკანასკნელ წლებში, ბევრი რამ გაკეთდა ჩვენს ქალაქში და მომავალშიც იგეგმება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №62

2019 წლის, 2 ივლისი, ხაშური

სოფელ ბეკამში და გვერდისუბნის დასახლებაში გზების მოასფალტების სამუშაოების განხორციელების გარიგების დადების თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მოსახლეობისთვის პირობების გაუმჯობესების მიზნით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ იგეგმება სოფელ ბეკამში და გვერდისუბნის დასახლებაში გზების მოასფალტების სამუშაოების შესყიდვა. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით განსაზღვრული თანხა შეადგენს 1011237,00 ლარს. შესასრულებელი სამუშაოები დაყოფილია ორ ეტაპად. პირველი ეტაპი (2019 წელი) პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში 2019 წელს ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს არაუმეტეს 600 000.00 (ექვსასი ათასი) ლარის მოცულობის სამუშაოებს, ხოლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანარჩენი თანხის ანაზღაურება მოხდება 2020 წლის ასიგნებების ფარგლებში. ვინაიდან, განსახორციელებელი სამუშაოების მთლიანი ღირებულება აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5 პროცენტს, საჭიროებს საკრებულოს თანხმობას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითღირებულების კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერს დადოს გარიგება სოფელ ბეკამში და გვერდისუბნის დასახლებაში გზების მოასფალტების სამუშაოების შესყიდვაზე, საერთო ღირებულებით 1011237,00 ლარი (ერთი მილიონ თერთმეტიათას ორასოცდაჩვიდმეტი ლარი), პირველი ეტაპი – 2019 წელი პროექტით გათვალისწინებული სამუშაოებიდან არაუმეტეს 600 000.00 ლარის სამუშაოები, ხოლო მეორე ეტაპი (2020 წელი დარჩენილი თანხის ფარგლები), რომელიც აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს;
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას;
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე WWW.KHASHURI.GE გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, სარჩელის წარდგენის გზით, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

მიხეილ ჯანაშვილი,
ხაშურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2019 წლის მე-2 კვარტალში (აპრილი, მაისი, ივნისი) გაწეული მუშაოების ანგარიში

2019 წლის მეორე კვარტალში, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმისწარმოების წესით სასამართლოში წარიმართა საქმეები, რომლებშიც ხაშურის მუნიციპალიტეტი წარმოდგენილი იყო როგორც მოსარჩელის, ასევე მოპასუხის სახით (მომზადებული იქნა სარჩელები და შესაგებლები). სხვადასხვა ინსტანციების სასამართლოებში. ამასთანავე, სხვადასხვა სამართალდამცავ ორგანოების წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე (4 საქმე), სამსახური ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას და მერიის კანონიერი ინტერესების დაცვას.

საანგარიშო პერიოდში სასამართლო წარმოებაში იყო 20 საქმე, საიდანაც 12 ადმინისტრაციული სამართალწარმოების და 8 სამოქალაქო სამართალწარმოების, იყო გარდა ამისა, გვქონდა 3 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და 2 ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევების საქმე. სასამართლო წარმოებაში არსებული 20 საქმიდან 15 დასრულდა, აქედან 4 სამოქალაქო და 11 ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმე, 5 საქმე შევიდა კანონიერ ძალაში. აღნიშნული 15 საქმიდან 10 მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ გადაწყდა, 2 საქმე დასრულდა მორიგებით, რომლის პირობებითაც საქმეები ფაქტობრივად მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ გადაწყდა, 2 მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ დასრულდა და 1 საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადასტურების შესახებ. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (3 საქმე) და ნარჩენების მართვის კოდექსით (2 საქმე) გათვალისწინებული სამართალდარღვევის საქმეებზე სასამართლომ სამართალდამრღვევებად სცნო ყველა საქმეზე დამრღვევი პირი და მათ დაეკისრათ ნაწილობრივ საჯარიმო სანქციები, ნაწილობრივ დაევალათ ჩადენილი სამართალდარღვევებით გამოწვეული შედეგების გამოსწორება და აღმოფხვრა. 2019 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, სასამართლოში მიმდინარეობს განხილვა 16 საქმეზე, 5 სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ხოლო 11 ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, მათ შორის 8 საქმე არის პირველ ინსტანციაში, 6 – სააპელაციო სასამართლოში, ხოლო 2 –უზენაეს სასამართლოში. ამავდროულად, მერია ჩართულია მესამე პირად 2 საქმეზე, 1 ადმინისტრაციული და 1 სამოქალაქო სამართალწარმოების საქმეზე, სადაც წარმომდაგენლობას ახორციელებს იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური.

ამასთანავე, მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურმა სამართლებრივი დახმარება გაუწია სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 1971 მუხლით (სამხედრო ვალდებულების მოხდისთვის თავის არიდების მიზნით სამხედრო სავალდებულო სამსახურში გამწვევ კომისიაში გამოუცხადებლობა) გათვალისწინებული სამართალდამრღვევთა მიმართებაში. ასევე, მიმდინარე პერიოდში, ზედამხედველობის სამსახურის მიერ, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 43-ე (უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოება) და 45-ე (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) მუხლების დარღვევების გამო, 4 ფაქტზე მოხდა შესაბამისი რეაგირება (დაჯარიმება), სადაც იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაწეული იქნა შესაბამისი სამართლებრივი დახმარება.

პარალელურ რეჟიმში, სამსახურის მიერ, მუდმივად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ყველა სამსახურის მიერ მომზადებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, შემოსული კორესპონდენციის ვიზირება და პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივი დასკვნების მომზადება. საანგარიშო პერიოდში, იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, ეკონომიკური განვითარების და საბიუჯეტო სამსახურებიდან შემოსული დოკუმენტაციის საფუძველზე, გაცემულია 15 დასკვნა, რომელიც ძირითადად ეხებოდა მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ანაზღაურებას, მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტის მიზანშეწონილობას და პირგასამტეხლოს შესაძლო დაკისრებას, ასევე მერიის კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა საკითხებს.

იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური ჩართული იყო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების პროცესში. სამსახურის მიერ მუდმივად ხდება მუნიციპალიტეტისათვის მომართულ მოქალაქეთათვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა როგორც წერილობითი ფორმით, ასევე ზეპირად. საანგარიშო პერიოდში სამსახური უზრუნველყოფდა წარმომადგენლობას სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებში.

სამსახური ჩართულია მერიაში შექმნილი კომისიების (დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში შექმნილ) და სამუშაო ჯგუფების მუშაობაში, მათ შორის:

1. „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია“;
2. „მოქალაქეობის დადგენის მიზნით პირის ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია“;
3. “ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი“;
4. ხაშურის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული, ა(ა)იპ “ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების” ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის სამუშაო ჯგუფი“;
5. „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისია“;
6. „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ზოგიერთი კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების შესაძლებლობის, მიზანშეწონილობისა და მოცულობის განმსაზღვრელი კომისია;
7. ხაშურის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისია;
8. ზედამხედველობის სამსახურში კომპეტენციით მიკუთვნებული საკითხების შესწავლისა და განხილვის სამუსაო ჯგუფი;;
9. მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭო.

იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური მერიის ადმინისტრაციულ სამსახურთან ერთად ჩართული იყო ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2019 წლის 4 თებერვალს გამოცხადებული კონკურსის ორგანიზებაში. კონკურსი გამოცხადებული იყო მერიის საშტატო განრიგით განსაზღვრულ 4 პოზიციაზე, მათ შორის: პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის; ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის; ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის და მერის წარმომადგენელი სურამის ადმინისტრაციულ ერთეულში მეოთხე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის პოზიციებზე. კონკურსის შედეგად ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე შეირჩა ერთი კანდიდატი.

საანგარიშო პერიოდში ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებში „ხაშურსერვისსა“ და „სავანეში“ განხორციელდა რეორგანიზაცია, რომლის შედეგადაც ა(ა)იპ „ხაშურსერვისს“ შეერწყა „სავანე“. აღნიშნული პროცესების სამართლებრივ უზრუნველყოფას ახდენდა იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური.

მოქმედი კანონმდებლობის ცვლილებების პარალელურად და სამსახურებრივი საქმიანობის სპეციფიკიდან და სტატისტიკიდან გამომდინარე, სამსახური მუდმივ რეჟიმში ახორციელებს მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებში, მერიის დებულებასა და მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების - სამსახურების დებულებებში ცვლილებების შეტანას, ასევე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წესდებების შემუშავებას და მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანას.

დავით ღვალაძე,
იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის
ხელმძღვანელი

კვერცხის უსაფრთხოდ მოხმარების რამდენიმე მარტივი რჩევა



კვერცხი მსოფლიოში არსებული ერთ-ერთი ყველაზე მაღალკალორიული და იაფი საკვებია. იგი ხელმისაწვდომია მოსახლეობის ნებისმიერი ფენისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ბუნება ყოველთვის არ გვაჯილდოვებს აბსოლუტური უსაფრთხოებით და ყველანაირი საკვები, მათ შორის კვერცხიც, მისი არასწორად მოხმარების შემთხვევაში შეიცავს რისკს იმისას, რომ ადამიანს განუვითარდეს საკმაოდ მძიმე ბაქტერიული ტიპის დაავადება, რომელსაც იწვევს ბევრისთვის კარგად ცნობილი მიკრობი - სალმონელა (Salmonella). ვფიქრობ, რომ საზოგადოებისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს კვერცხის სწორად მომზადებისა და შენახვის წესების შემეცნება, რაც მიგვიყვანს იქამდე, რომ ამ პროდუქტის მოხმარებით გამოწვეული სნეულება მინიმუმამდე იქნება დაყვანილი.

მიუხედავად იმისა, რომ კვერცხი გარეგნული ნიშან-თვისებებით შეიძლება ნორმალურად გამოიყურებოდეს, ის შესაძლოა შეიცავდეს მიკრობს, სალმონელას. სალმონელათი გამოწვეული დაავადება საკმაოდ მძიმე კლინიკური ნიშნებით მიმდინარეობს და ხშირად საჭიროებს ხანგრძლივ მედიკამენტურ თერაპიას.

სალმონელათი დასნებოვნება შეიძლება იყოს სერიოზული და

საკმაოდ სახიფათო ზოგიერთი ადამიანისათვის.

65 წელზე მეტი ასაკის პირები, ბავშვები 5 წლამდე და პირები სუსტი იმუნური სისტემით, როგორიცაა აივ/შიდსი, დიაბეტი ან ორგანოთა ტრანსპლანტაცია ჩატარებულ პირებში ეს დაავადება იწვევს სერიოზულ ზიანს, იგი შეიძლება იყოს სიცოცხლისთვის საშიში. ანტიბიოტიკებით მკურნალობის გარეშეც კი სიმპტომები სწრაფადვე ქრება დაავადებიდან 4-7 დღეში.

სალმონელათი დასნებოვნების დროს ნიშნები შემდეგნაირია:

- დიარეა
- გულისრევა/ღებინება
- ტემპერატურის მომატება
- მუცლის არეში ტკივილები

სიმპტომები დაინფიცირებული საკვების მიღებიდან დაახლოებით 6 - დან 48 საათის განმავლობაში იჩენს თავს, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ეს დროს გაცილებით გრძელვადიანია. თუ ადამიანს აღენიშნება დიარეა მრავალჯერ დღეში, ან დიდი ხნის განმავლობაში, აუცილებლად უნდა მოხდეს მისი ჰოსპიტალიზაცია.

მოცემულ სტატიაში , მსურს საზოგადოებას , მათთვის გასაგებ ენაზე მივაწოდო ის მინიმალური რჩევები, რაც კვერცხის, როგორც უსაფრთხო პროდუქტის გამოყენების საშუალებას მოგცემს.

სალმონელოზით (დაავადება, რომელსაც იწვევს სალმონელა) დაავადების რისკის შესამცირებლად გაითვალისწინეთ!

- შეიძინეთ და საკვებად გამოიყენეთ პასტერიზებული კვერცხი და კვერცხის პროდუქტები, რაც დღეისათვის საკმაოდ ხელმისაწვდომია.
- ყოველთვის შეინახეთ კვერცხი დაახლოებით 4 გრადუს ტემპერატურაზე ან უფრო დაბალზე.
- არ მოიხმაროთ გაბზარული, ან გატეხილი, ჭუჭყიანი კვერცხი.
- შენახვამდე კვერცხი აუცილებლად გარეცხეთ გამდინარე წყალში.
- იქამდე მოხარშეთ კვერცხი, სანამ კვერცხის ცილა, ისევე როგორც გული არ გამკვრივდება. კვერცხის შემცველი საკვები უნდა მომზადდეს 71 ან მეტად მაღალ ტემპერატურაზე.
- დარწმუნდით, რომ საკვები რომლებიც შეიცავენ უმ, ან მსუბუქად მოხარშულ კვერცხს, მომზადებულია პასტერიზებული კვერცხით.
- მიირთვით კვერცხი და კვერცხის შემცველი საკვები სწრაფადვე, მომზადების შემდგომ. არ შეინახოთ კვერცხი ან მისგან დამზადებული პროდუქტები ოთახის ტემპერატურაზე 2 საათზე მეტხანს.
- დაიბანეთ ხელები, კარგად გარეცხეთ ინვენტარი, რომელსაც იყენებთ კვერცხის მოსამზადებლად.

აღნიშნული წესების დაცვის შემთხვევაში სალმონელოზის განვითარების რისკი, პრაქტიკულად, 0%-მდე მცირდება.

ევგენია ბაბუნაშვილი,
თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის (სამკურნალო საქმე) V კურსის სტუდენტი

ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მორიგი სხდომა

სხდომას უძღვებოდა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი.

საბჭოს წევრები გაეცნენ მოხსენებას მუნიციპალიტეტის სპორტული პროგრამების შესახებ, რომელიც მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის სპორტის განყოფილების უფროსმა სპეციალისტმა ნინო ლომსაძემ წარმოადგინა. სხდომაზე იმსჯელეს სპორტული პროგრამებში გოგონებისა და ბიჭების თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ. დადებითად შეფასდა ფაქტი, რომ ყველა სპორტული სექცია, რომელსაც ხაშურის სასპორტო სკოლა სთავაზობს სპორტის მოყვარულებს, არის უფასო.

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა იმსჯელეს სამომავლო ღონისძიებების შესახებ. დაიგეგმა სამომავლო ვიზიტი ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მოსახლეობის და კერძოდ ქალების საჭიროებათა შესწავლის მიზნით, ასევე საგანმანათლებლო შეხვედრები სკოლის ასაკის მოსწავლეებთან.

მადლობა ლატვიელ მეგობრებს მხარდაჭერისთვის

თუ თვალს ადევნებთ მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუქის გვერდს, შეამჩნევდით ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ მოწოდებას ხაშურთან დამეგობრებული ქალაქებისადმი, აქციაში spendyoursummeringeorgia – გაატარე შენი ზაფხულში საქართველოში ჩართულობასთან დაკავშირებით.

ჩვენი მოწოდების პირველი შედეგი უკვე სახეზეა. ჩვენი ლატვიელი მეგობრები ერთი კვირა საქართველოს სტუმრობდნენ. ისინი ხაშურს ეწვივნენ და აქედან თითქმის მთელი საქართველო შემოიარეს. მადლობას ვუხდით თითოეულ მათგანს ჩვენი მხარდაჭერისთვის. განსაკუთრებული მადლიერებით კი აღვნიშნავთ, რომ სტუმრების ნაწილმა საზაფხულო გეგმები ჩვენი მოწოდების შემდეგ შეცვალა და საქართველოში წამომსვლელთა ჯგუფს შეუერთდა.

ფოტოს მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის თანამშრომლებს ბესო გაჩეჩილაძეს და გიორგი კერესელიძეს, რომლებმაც სრულიად უანგაროდ განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ლატვიელი სტუმრების საქართველოში ვიზიტის მომზადებაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილება

ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორია ტოპონიმებში

(გაგრძელება. დასაწყისი იხ „ხმ“ #5, 6, 7, 9, 11,12,14,15,16,17, 18,19,20,21,22,23,24,25,26)

ტბა – ნასოფლარი ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, სოფ. ბულბულისციხესთან ახლოს, მის ჩრდილო-დასავლეთით. მდებარეობს ქვიშხეთის საკრებულოს ტერიტორიაზე.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები, აგრეთვე ქართული ისტორიული და ეკონომიკური ხასიათის ძეგლები მას არ იცნობენ.

სოფელი ტბა, გადმოცემის თანახმად, XIX საუკუნის შუა ხანებში აღმოცენებულა და XX საუკუნის 60-იან წლებამდე არსებობდა. შემდეგ მოსახლეობა ბულბულისციხესა და ქვიშხეთში ჩამოასახლეს და სოფელიც მოიშალა.

აქ სახლობდნენ გვარები: ღონღაძე, ბლიაძე, ლომიძე, გოლუბიანი...

ამავე სახელწოდების სოფელია ბორჯომის რაიონში.

ტეზერი – სოფელი, მდებარეობს ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, შედის ქვიშხეთის საკრებულოში, ზღვის დონიდან 800 მ. რაიონული ცენტრიდან დაშორებულია 7 კილომეტრით.

ქართული საისტორიო მწერლობა იცნობს ტეზერს. იგი ხშირად მოიხსენიება როგორც ისტორიულ, ასევე, ეკონომიკური ხასიათის ძეგლებში. შედიოდა ქართლის სააბაშიოში.

ვახუშტი ბატონიშვილი მის შესახებ აღნიშნავს: „სურამის ბეკმიდამ ასტყდების მაღალი გორა, მდებარეობს დასავლით წიფამდე და ლიხამდე. ამ მთის სამხრით არს... ტეძერი ვიდრე შოლამდე“.

იოანე ბატონიშვილი „აღწერაში“ აფიქსირებს ტეზერს, როგორც მოსახლე სოფელს.

ტეზერი საისტორიო წყაროებში XVI საუკუნიდან გვხვდება. 1534 წელს იმერეთის მეფეს ბაგრატს „შეუწირავს ტეზერს თავისი სახასო ვენახი ატოცის წმინდა გიორგის ეკლესიისათვის“.

1711 წელს ქართლის სამეფო კარი ტეზერს სააბაშიოს სხვა სოფლებთან ერთად ვახუშტი აბაშიძეს აძლევს.

1715 წლის რუისის სამწყსოს აღწერის დავთარში დაფიქსირებულია სამი ტეზერი. ერთ-ერთი ტეზერი, კერძოდ „მეორე სახუცო-ტეზერი“, დღევანდელი სავანისუბანია. ხოლო დანარჩენი „ორი ტეზერი“ – პირველი და მესამე სახუცო ტეზერი დღევანდელ ტეზერს წარმოადგენს: კოშკის უბანს (კოშკის ტეზერი) და ხახუტის უბანს (ხახუტის ტეზერი). დავთარში დაფიქსირებულია 62 კომლი მოსახლე: ორჯონიკიძე (6), მაჭავარიანი, აიდარაშვილი (2), ხაჯაველიძე (4), აბრამაშვილი, გოგატაძე, ზაქარიაშვილი, თეგაძე, ნებიერიძე (2), ჩიქუანი, დევაძე, ჩიკოიძე, ბუჟღულაშვილი (2), ბეროზაშვილი (3), ოთიაშვილი, წვერიანაშვილი, ძულიაშვილი (4), არავიაშვილი (7), ჩაჩანიძე (2), წეველიძე (2), ჭყოიძე, ლაცაბიძე, კაპანაძე (2), ნოზაძე (2), თომაძე, ღამბაშიძე (2), ბითაძე (3), გუდაძე, ღონღაძე...

როგორც ჩანს, 1715 წლისათვის ტეზერი ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი და მჭიდროდ დასახლებული სოფელია.

ეს კარგად ჩანს თბილისის ვილაიეთის აღწერის დავთრიდანაც. 1728 წელს აქ ცხოვრობს 169 კომლი. აქვე დასახლებულია 5 კომლი აზნაური. არის სახასო მამულები, ვენახი. ტეზერთან დაფიქსირებულია „სათესველი ჩალა, რომელიც ახლოსაა ლებგურთან“(?). აქ 24 კომლი ცხოვრობს. ტეზერიც და ჩალაც (ალბათ, ჭალა-თ.ლ.) იხდის ყველა საოსმალო გადასახადს, რაც შეადგენს 77390 ახჩას. აქ 15 თვალი წისქვილი ყოფილა, რომლის წლიურ გადასახადსაც 1800 ახჩა წარმოადგენს.

საინტერესოა ტეზრისა და ჩალის საზღვრების დავთრისეული აღწერა: „ხსენებული სოფლის საზღვარი იწყება ტაშისკარის მისადგომებთან. მდინარე მტკვრის ნაპირით, გორაკთან არსებული ციხით საციციანომდე ზედა მხარემდე გაივლის, იგი მთაწმინდის კოშკამდე აღწევს. იქიდან ჰაჯის გორაკამდე ვრცელდება. იქიდან კი თავქვე ეშვება. ჰაჯი სუს ცხელი ადგილებით მიემართება. აქედან კი მტკვრის ნაპირით აღმა აუყვება. იგი ტაშისკირს მისადგომებთან თავდება“.

ამ ცნობიდან ჩვენს ყურადღებას იქცევს ორი მომენტი. კერძოდ, „გორაკთან არსებული ციხე“, რომელიც მდ. მტკვრის სიახლოვეს არის, ზემოთ აღნიშნული ტაშისკრის კოშკი უნდა იყოს. რაც შეეხება მთაწმინდის კოშკს, იგი ჩვენთვის უცნობია და შესწავლას მოითხოვს.

1740 წელს ვახუშტი აბაშიძე გამაგრებულია ტეზრის კოშკში, რომელიც იმერთის მეფე ალექსანდრემ აიღო, ვახუშტი დაატყვევა და ნავარძეთის ციხეში მოათავსა.

XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან ტეზერმა მრავალგზის განიცადა ლეკთა თავდასხმები. მარტო 1732 წელს მათ ორჯერ ააოხრეს ტეზერი. 1756 წელს ლეკები კვლავ დაესხნენ ტეზერს. ამ შემთხვევაში თეიმურაზ II-მ სასტიკად დაამარცხა ისინი: „მოვიდნენ ლეკნი ტეზერს. მუნ სძლო მეფემან თეიმურაზ...“

1865 წელს ტეზერში 46 კომლი გლეხი სახლობს (4 სახელმწიფო და 42 დროებით ვალდებული). 1886 წლის აღწერით, ტეზერში უკვე 141 კომლი მოსახლეა (455 კაცი და 414 ქალი, სულ 869 კაცი), ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით, მოსახლეობა მთლიანად ქართულია.

ტეზერში სახლობენ გვარები: აბრამიშვილი, ბაბიაშვილი, ბეჟიტაშვილი, ბეროზაშვილი, ბირკაძე, ბლუაშვილი, გვარამაძე, გველესიანი, გოგალაძე, გოგატიშვილი, გორგაძე, გუდაძე, დავითაძე, დვალიშვილი, ზაზაძე, თურმანიძე, კაკიაშვილი, კიკნაძე, კობალაძე, კორკოტაძე, კურტანიძე, ლომსაძე, ლორია, მაისურაძე, მაჩხაშვილი, მესხიძე, მჭედლიშვილი, ნოზაძე, ორაშვილი, ორჯონიკიძე, ჟღენტი, ტაბატაძე, ტურტულაძე, ფოცხვერაშვილი, ფცქიალაძე, ღამბაშიძე, ღონღაძე, ყველაშვილი, ჩაჩანიძე, ჩიტიაშვილი, ცისკაძე, ციყელაშვილი, ცორბუდიანი, ცხოვრებაშვილი, წეველიძე, ჭადაშვილი, ჭკუასელიძე, ჭიჭინაძე, ჭყოიძე, ხარატიშვილი, ხაჩიძე, ხოლუაშვილი...

სახელწოდება ნაწარმოებია –ერ სუფიქსით, –ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია, ფუძეა „ტეზ”-ი, რაც ს. ს. ორბელიანის განმარტებით „ნედლი და ცუდი შეშაა”, „ნედლი, ცუდი შეშა” ან „ნედლი, ავი შეშაა”.

ტეზერში მდებარეობს ხახუტის ღვთისმშობლისა და ზღუდერის წმ. გიორგის ეკლესიები. კოშკი, რომელიც აქ იდგა XX ს-ის 20-იან წლებამდე, დაანგრიეს და დღეს მხოლოდ უმნიშვნელო ნაშთებიღაა შემორჩენილი.

ტიტვინისწყარო – სოფელი, მდებარეობს ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, შიდა ქართლის ვაკეზე, ალის ფრონეს (ჭერათხევის) ხეობაში. ზ. დ. 850 მ. ხაშურიდან დაშორებულია 32 კმ-ით, გომიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) – 21 კმ-ით. შედის წაღვლის სათემო საკრებულოში.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები ამ მხარეში ასეთ სოფელს არ იცნობენ, არც ქართულ ისტორიულ და ეკონომიკური ხასიათის ძეგლებში გვხვდება.

1886 წლის აღწერით, აქ 7 კომლია (21 კაცი და 16 ქალი, სულ 37 კაცი). ეროვნული შემადგენლობის მიხედვით, მოსახლეობა მთლიანად ქართულია.

აქ სახლობენ გვარები: ბარბაქაძე, გორგაძე, მულაძე, ობოლაძე, წიქარიშვილი, ხარაიშვილი...

სახელწოდება სიტყვათშეერთებითაა მიღებული, ნათესაობით ბრუნვაში მდგარი მსაზღვრელისა და სახელობით ბრუნვაში მდგარი საზღრულისგან.

ს. ს. ორბელიანის მიხედვით ტიტვა ნიშნავს „ფრიად დამარილვას”, „დატიტულს”, „უზომოდ დამარილებულს”.

ტკოცა – სოფელი, მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, ზ. დ. 800მ. ხაშურიდან დაშორებულია 23 კმ–ით, გომიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) – 12 კმ–ით. შედის ფლევის სასოფლო საკრებულოში.

უძველესი დასახლებული პუნქტია. აქ არაერთი საინტერესო არქეოლოგიური ძეგლია. განსაკუთრებით, საყურადღებოა ე.წ. გორგოტის ნამოსახლარი, რომელიც გვიანბრინჯაოს ხანით თარიღდება. აქვეა სამაროვანიც.

ვახუშტი ბატონიშვილი აფიქსირებს ტკოცის-ხევს, „ამას (ე.ი. ბერძენაულის) ზეით მოერთვის ამ წყალს (ე.ი. ფცის წყალს) ტკოცის – ხევი დასავლიდამ”.

იოანე ბატონიშვილი თავის „აღწერაში” ფცის წყლის ხეობაში არსებულ სოფლებს შორის აფიქსირებს ტკოცას. ამ დროს (XVIII ს-ის 90-იანი წლები) აქ, „აღწერის” მიხედვით, მოსახლეობა არ ჩანს.

ზოგიერთ ისტორიულ საბუთში სახელწოდება ტკოცა გვხდება სტკოცის ფორმით.

ტკოცა ამირეჯიბების მამულია. მანამდე მას ფლობდნენ მხეიძეები. ამირეჯიბების შემდეგ იგი ბაგრატიონ-დავითიშვილების ხელშია.

ქუცნა ამირეჯიბი ტკოციდან ორ კომლს წირავს ულუმბის ღვთისმშობლის ეკლესიას.

ალექსანდრე დიდის (1412-1442) სიგელის თანახმად ულუმბის მონასტრის სასარგებლოდ მართებდა „სტკოცას: რიკაძეს თორმეტი კოდი პური და ათი კოკა ღვინო. თავბერიძეს თორმეტი კოდი პური და ხუთი კოკა ღვინო. წყარო კვირიკაშვილს თორმეტი კოდი პური და ოცდასამი კოკა ღვინო. ხუთი ლიტრა ზეთი. დავითაშვილს ათი კოკა ღვინო და ექვსი კოდი პური. კოკავიძეს სამი ლიტრა ზეთი და მეორეს კოკავიძეს რვა ლიტრა ზეთი. ბასილაშვილს და მაჩხიაშვილს ათი კოდი პური”.

იმერეთის მეფე გიორგიმ 1615-1616 წლებით დათარიღებულ წყალობის წიგნით ტკოცა აზნაურ რიკაძეებითურთ ბოქაულთუხუცეს დავით დავითიშვილს უბოძა: „... ისრევ თქვენთვის გვიბოძებია ტკოცა რიკაძეებითა....” ე,ი. ამ წყალობის წიგნის შედგენამდეც ტკოცას დავითიშვილები ფლობენ.

1634 წელს დავით და რამაზ დავითიშვილების მამულის საქმეზე როსტომ მეფის გადაწყვეტილების წიგნით, ტკოცა დავით დავითიშვილის მამულია.

როსტომ მეფის 1642 წლის წყალობის წიგნიდან ჩანს, რომ დავითიშვილებს ტკოცაში მამულებს ეცილებიან ამირეჯიბები. როგორც ირკვევა, ერთხანს როსტომ მეფეს ტკოცა ამირეჯიბებისათვის მიუცია, მაგრამ შემდეგ როცა საკითხი გარკვეულა, იგი კვლავ დავითიშვილებისათვის დაუბრუნებია. ამირეჯიბებისათვის ტკოცაში მამულების მიცემა 1634 წლის შემდეგ უნდა მომხდარიყო რადგან, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ამ წელს იმავე როსტომის გადაწყვეტილებით, ტკოცა დავითიშვილების მამულია.

1715 წლის განჩინებაში (ელიზბარ და გიორგი რამაზაშვილების (დავითიშვილების) მამულის საქმეზე) ტკოცა კვლავ დავითიშვილების მამულია.

1715 წელს, ტკოცაში, რუისის სამწყსოს დავთრის მიხედვით, 33 კომლი მოსახლეა. დავთარში მითითებულია, რომ ბევრი მოსახლე აყრილია. მიუხედავად ამისა სოფელში ამ დროს საკმაოდ მრავალრიცხოვანი მოსახლეობაა. ამ დროისათვის აქ ცხოვრობენ შემდეგი გვარები: რიკაძე (6), ვირშელაშვილი (6), ნოზაძე, კოკავიძე (5), თავბერიძე (3), ნიყვაძე, ხორგოშვილი (3), პენიაშვილი (2), ოსაძე (2), ლუქუნიძე (2) ზეინკლიშვილი...

1728 წელს აქ 38 კომლი სახლობს. არის სახასო მამული, ვენახი. მოსახლეობა იხდის ყველა საოსმალო გადასახადს 12455 ახჩის ოდენობით.

ტკოცა XVII-XVIII საუკუნეების ზემო ქართლის აღწერის არაერთ დავთარში გვხვდება. კომლთა რაოდენობა და გვარები თითქმის იდენტურია რუისის საწყმსოს დავთარში დაფიქსირებული გვარებისა და კომლთა რაოდენობისა. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი გვარებისა, ამ დავთრების მიხედვით, ტკოცაში გვხვდება შემდეგი გვარები: დავითულიანი, მექვაბიძე, ლიპარიტაშვილი, გუგუნაშვილი, კობალაძე, სახოვაძე, კვესაძე, ტაბატაძე, ყვიჟინაძე, ბოჟაძე, მახანასშვილი, კვერნიაშვილი, არჯევანიძე, ზაქარიაშვილი, თოხაძე, მირიანაშვილი, სალარიძე, პაპიძე...

1865 წელს ტკოცაში, რომელიც წაღვლის სასოფლო საზოგადოებაში შედიოდა, ცხოვრობდა 9 კომლი სახელმწიფო გლეხი. 1886 წელს აქ 31 კომლი მოსახლეა (96კაცი და 101ქალი, სულ 197 კაცი), ეროვნული შემადგენლობა მთლიანად ქართულია.

ტკოცაში სახლობენ გვარები: ბიწაძე, ბლიაძე, გაგნიძე, გრიგალაშვილი, კანთელაშვილი, კაპანაძე, კილაძე, ლომიძე, ნოზაძე, რიკაძე, სულაბერიძე, ტაბატაძე, შუბითიძე, ჩუბინიძე, ხარაზიშვილი, ჯიოშვილი...

ქვენა ტკოცის სახელწოდების ცნობილი სოფელი მდებარეობს ქარელის რაიონში.

ტკოცაში მდებარეობს წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც გვიანფეოდალური ხანით თარიღდება.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ავტომანქანების აირბალონების ტექნიკური ინსპექტირება უკვე ხაშურშიც შესაძლებელია

აირბალონიანი ავტომობილების ინსპექტირების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი მთავრობამ ჯერ კიდევ 2014 წელს მიიღო, მისი ამოქმედების ვადა რამდენჯერმე შეიცვალა, 2018 წლის იანვრიდან კი სავალდებულო გახდა. ავტომანქანამ, საბოლოო ინსპექტირებამდე, ჯერ აირბალონის შემოწმების ტესტი უნდა გაიაროს და დააკმაყოფილოს რამდენიმე სტანდარტი. თავდაპირველად, სკეპტიკური განწყობები არსებობდა ექსპერტთა მხრი-

დან, რადგან შემოწმებისთვის სულ ოთხი ტექნიკური ბაზა იყო. დღეისათვის მათი რიცხვი 20-მდეა გაზრდილი, მათ შორის, ორი ხაშურშია. ჩვენ ვესტუმრეთ ერთ-ერთ ინსპექტირების ცენტრს. თუ როგორ ხდება აირბალონზე მომუშავე მანქანების ტექ. ინსპექტირება, რა უნდა იცოდნენ მძღოლებმა და სხვა დეტალებზე, შპს „ტრანს ექსპერტის“ დირექტორს, ოთარ ყაულაშვილს ვესაუბრეთ.

- ბატონო ოთარ, გვესაუბრეთ თქვენი საქმიანობის შესახებ?

–ამა წლის 15 მაისს დავიწყეთ სხვადასხვა ტიპის სამუშაოების წარმოება, ხოლო 1 ივნისიდან ოფიციალურად შევუდექით მუშაობას და დავიწყეთ მანქანების შემოწმება. ეს გახლავთ აირზე მომუშავე ავტომანქანების ტესტირების

ცენტრი. მიმდინარეობს ტესტირება როგორც აირის ბალონების, ასევე მთლიანად ავტომობილების. ჩვენ აკრედიტაცია გავიარეთ აკრედიტაციის ცენტრთან, გვაქვს ამის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველაფერს პროფესიულ დონეზე ვაკეთებთ.

- მომართვიანობა რამდენად დიდია? როგორც ვიცი, აირზე მომუშავე მანქანების რიცხვი ქვეყანაში 200 000-მდეა...

– როგორც მოგახსენეთ, სულ ერთი თვეა რაც ფუნქციონირება დავიწყეთ, ამის გათვალისწინებით, მომართვიანობა ამ ეტაპზე დამაკმაყოფილებელია. თავდაპირველად, ერთი ცენტრი იყო საქართველში, ამჟამად 20-მდეა. ხაშურში ორი ცენტრია, რაც სრულიად საკმარისია მანქანების ტექ.დათვალიერებისთვის.

- როგორ ხდება მანქანების შემოწმება?

-მანქანები მოდიან, ან მოაქვთ მხოლოდ აირბალონი შესამოწმებლად. იხსნება ბალონი, იწონება, ირეცხება და შემდეგ ხდება სტენდირება ტესტზე. წყალზე უნდა გაიტესტოს სისტემა. ჯერ ბალონი მოწმდება და შემდეგ უკვე მთლიანი მანქანა. პირველად დათვალიერებას მანქანა ჩვენთან გადის და შემდეგ მიდის აქედან მეორე ტექ. დათვალიერებაზე.

- იმ პირობებში, როდესაც სტატისტიკურად, მზარდია მოთხოვნა მანქანების აირზე გადაყვანის, როგორ ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია მათი შემოწმება?

–ძალიან მნიშვნელოვანია და საჭირო. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის გაზს, აფეთქების ნაკლები რისკები აქვს, საფრთხე მაინც არსებობს და სწორედ ამას ემსახურება მთავრობის დადგენილება, რომ პროფესიონალურად შემოწმდეს ყველა მანქანა, რათა თავიდან ავიცილოთ უბედური შემთხვევები. ბალონებს

სხადასხვა ექსპლუატაციის ვადები გააჩნია, მწარმოებელი ქვეყნების ხარისხიც განსხვავებულია. არდა ამისა, ბერი ტექნიკური დეტალია, რომლის შემოწმებაც ხდება ჩვენივე უსაფრთხოებისთვის.

- ტექნიკური ბაზა როგორი გაქვთ?

–აკრედიტაციის გავლის დროს, ძალიან მოეწონათ ჩვენი ტექნიკური და ინფრასტრუქტურული ბაზა. აქვე ხდება როგორც შემოწმება, ასევე მცირედი პროფილაქტიური სამუშაოების შესრულება.

- ღირებულება რამდენია ამ ეტაპზე?

–საწყისი ღირებულება 140 ლარი იყო, თუმცა ამ ეტაპზე, ფასებმა დაიწია და შედარებით ხელმისაწვდომია. გარდა ამისა, მეორე და მესამე ბალონის გატესტვის შემთხვევაში, თითო ბალონზე დანამატი მხოლოდ 20 ლარია.

- სახელმწიფო რეგულაციები როგორია ურჩი მძღოლების მიმართ?

–იმ შემთხვევაში, თუ მძღოლებს აირბალონიანი სისტემით აღჭურვილი ავტომობილის ინსპექტირების დამადასტურებელი დოკუმენტი არ ექნებათ, 100 ლარით დაჯარიმდებიან.

თ. ჯავახიშვილი

- განათლება -

ზვიად გოგუაძე გერმანული ორგანიზაციის (“კრისპი”) მიერ გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებულთა შორისაა

ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი და ამავდროულად დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონის სამოქალაქო განათლების მასწავლებელი ზვიად გოგუაძე, სამოქალაქო განათლების ფორუმისა და გერმანული ორგანიზაციის მიერ მხარდაჭერილი კონკურსის 20 გამარჯვებულ მასწავლებელთა შორისაა. ბატონი ზვიადი აღნიშნული პროექტის ფარგლებში, გერმანიაში მიემგზავრება, სადაც კიდევ უფრო გაიღრმავებს ცოდნას და გამოცდილებას.

ზვიად გოგუაძე: სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა ფორუმისა და გერმანული ორგანიზაცია “კრისპი”-ს მიერ (სიმულაციები კრიზისების მართვისთვის), გამოაცხადა კონკურსი, სადაც უნდა შეერჩიათ სამოქალაქო განათლების 20 მასწავლებელი, რომლებიც გაივლიდნენ საქართველოში პირველ ბაზისურ ტრენინგს. გამარჯვების შემთხვევაში, მათი მონაწილეობით შეიქმნებოდა სიმულაციები. პროექტი “სამოქალაქო განათლების სიმულაციები საქართველოს სკოლებისთვის”, გულისხმობს , ერთგვარ სიმულაციების შექმნას, სადაც გადაწყვეტილების მიმღებები არიან მოსწავლეები, ხელისუფლების დანაწევრების პრინციპებით-იქნებიან როგორც ხელისუფლების სხვადასხვა შტოების, ასევე, მედია და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები და ყველა მოსწავლეს გადანაწილებული ექნება თავისი ფუნქცია. ეს არის სწავლა კეთებისთვის. სწორედ, ამგვარმა სიმულაციურმა თამაშმა დაიმსახურა მოწონება და 20 მასწავლებელს შორის მოვხვდი მეც. გერმანიაში სიმულაციის ერთ-ერთ მოდელს შევქმნით. გერმანიში ჩვენ, მონაწილეები, შევქმნით სიმულაციებს საქართველოს სკოლებისთვის და განვახორციელებთ უკვე აქ.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გავიზიარებთ გერმანულ გამოცდილებას, ცოდნას შევიძენთ. რაც ძალიან მნიშვნელოვანია, პროცესი ამით არ მთავრდება და სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმთან შეთანხმებით, შემეძლება საჯარო სკოლებშიც დავნერგო მსგავსი სიმულაციები.

თ. ჯავახიშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტურისტული ობიექტები. ჯვართმუხა, მდინარე ლამისღელის ჩანჩქერი.

- კალათბურთი -

საქართველოს პირველობის ,,ბ“ ლიგის ლიდერები ხაშურლები არიან

ჩვენ არაერთხელ დაგვიწერია, რომ ხაშურის სასპორტო სკოლა, საქართველოს რეგიონულ სკოლებს შორის, ერთ-ერთი მოწინავეა და სპორტის მრავალ სახეობაში დიდი წარმატებებიც აქვს. ამ სახეობაში კალათბურთსაც თავისი ღირსეული ადგილი უკავია. თუ ვინმე ფიქრობს, რომ პატარა კალათბურთელები, წარმატებების მხრივ, მკვეთრად ჩამორჩებიან ან მოჭიდავეებს ან ფეხბურთელებს თუ სხვებს, ძალიანაც ცდებიან. ამის დასტური კი საქართველოს „ბ” ლიგაში მოასპარეზე თოთხმეტწლამდე ასაკის გუნდია, რომელმაც პირდაპირ გადაუარა თავის მეტოქეებს -მათ შორის სახელგანთქმულ აკადემიების გუნდებს და გათამაშების ლიდერია. შვიდიდან შვიდივე მოგება – ასეთია მათი შედეგი. თუმცა, მოგებაცაა და მოგებაც. ოდნავ ქვემოთ შედეგებს გაგაცნობთ და თვითონ დარწმუნდებით, რომ „გადაუარა” სრულებითაც არაა გაზვიადებული ნათქვამი.

„ბ” ლიგაში სულ 36 გუნდი მონაწილეობს, რომლებიც ექვს ჯგუფში (თითოეულში 6 გუნდი) არიან გაერთიანებული. გუნდები ორ-ორჯერ ხვდებიან ერთმანეთს. ჩვენმა გუნდმა უკვე ჩაატარა 7 შეხვედრა და დარჩენილი სამი შეხვედრა უკვე ფორმალურად აქცია. ჯგუფიდან ორ-ორი გუნდი გადის პლეი-ოფში, სადაც უკვე ოლიმპიური სისტემით გააგრძელებენ ჩემპიონობისათვის ბრძოლას. ჩვენმა კალათბურთელებმა დასახული პროგრამა-მინიმუმი შეასრულეს და შეიძლება ითქვას, რომ დარჩენილ სამ შეხვედრას საპლეიოფო მზადებას მოახმარენ. გუნდს გია ცერაძე წვრთნის – შესანიშნავი სპეციალისტი და პედაგოგი, თავისი საქმის პროფესიონალი. იგი რამედნიმე წელია ამ ბავშვებთან მუშაობს, შეიძლება ითქვას, რომ მათ ნულიდან დააწყებინა კალათბურთის ანა-ბანა და დღეს მათგან, თავისი ასაკის მიხედვით, საქართველოში ერთ-ერთი ლიდერი გუნდი შექმნა. ამ ბავშვებს უკვე საქართველოს ასაკობრივი ნაკრების მწვრთნელებიც აკვირდებიან და არაფერი იქნება გასაკვირი, რომ მათგან რამდენიმე ნაკრების წევრიც გახდეს. ახლა კი შვიდივე ანგარიშს გაგაცნობთ და ვფიქრობთ, ყველა დარწმუნებით ამ ბავშვების სიძლიერეში. თბილისის „ვინგზი” – 101:69 და 77:38, თელავი – 75:43 და 96:34, თბილისის „ლეგიონი” – 78:66, „საბურთალო” – 104:31, კასპი – 82:44. აღსანიშნავია ერთი ფაქტიც – ჩვენმა ბიჭებმა ყველა თამაში თბილისში ჩაატარეს, ფაქტობრივად, ყველა თამაში სტუმრად ითამაშეს, რაც კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის მათ შედეგს.

პლეი-ოფები სექტემბერში დაიწყება. ამ გუნდისგან ყველა ჩემპიონობას ელის. უფრო მეტიც -სპეციალისტები ყველა დადასტურებულად ამბობს, რომ მათი ადგილი „ა” ლიგაშია. გაისად ალბათ ასეც იქნება და ღრმად გვწამს, ისინი(-გუნდში 16 ბავშვია) არც იქ შეირცხვენენ თავს.

სკოლის დამთავრებამდე მათ მთელი ოთხი წელი უკლიათ (მათი ძირითადი ნაწილი მე-9 კლასელია). ამ ოთხ წელიწადში, ფაქტია, ისინი მკვეთრად მოუმატებენ და მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხაშურს პრეტენზია ექნება ეროვნულ ჩემპიონატში წარადგინოს გუნდი, მითუმეტეს, რომ ჩვენი ახალი სასპორტო სკოლის კალათბურის დარბაზი უმაღლეს სტანდარტებს აკმაყოფილებს.

ასე რომ – წინ, ბიჭებო! თქვენ ახლა მარტო არ ხართ და გულშემატკივრების მთელი არმია გიჭერთ მხარს. ვჯერა თქვენი და გვეიმედებით!

გოგი გოგოლაძე

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.